სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
სოფელ მაღლაკის საჯარო სკოლა

LEPL TSKALTUBO MUNICIPALITY
VILLAGE MAGHLAKI PUBLIC SCHOOL

04/12/2025

MES 6 25 0001724983

სსიპ -საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს
თავჯდომარეს
ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკის საჯარო სკოლის 2025 წლის ანგარიში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის "ინფორმაციის თავისუფლების" თავი თ გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე

წარმოგიდგენთ სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკის საჯარო სკოლის (შემდგომში სკოლა) 2025 წლის ანგარიშს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 49-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში მოცემული ,,ინფორმაციის თავისუფლების'' თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე:

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკის საჯარო სკოლის 2015 წლის 29. 09. № 2-32 ბრძანებით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკის საჯარო სკოლის მასწავლებელი ნინო ბედიაშვილი.

ა) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე წარმოდგენილი არ ყოფილა არცერთი განცხადება, საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სკოლაში მოთხოვნა არ შემოსულა. სკოლის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

ბ) არ დაკმაყოფილებულა არცერთი მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და არ ყოფილა მიღებული არცერთი გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

გ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა.

დ) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა.

ტელ. № 577 96 55 80 ელ. ფოსტა: maglakissajaro.skola@gmail.com მისამართი: სოფელი მაღლაკი.

ე) სკოლას საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად არ გამოუყენებია მოქმედი საკანონმდებლო აქტები.
ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სკოლის წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში შეტანილი არ ყოფილა და გამომდინარე აქედან, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები სკოლას არ ჰქონია.

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკის საჯარო სკოლის 2025 წლის წლიურ ანგარიშს აგრეთვე წარმოგიდგენთ ცხრილის ფორმით:

ანგარიში	რაოდენობა
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე დაკმაყოფილებული	0 (ნული)
გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული	0 (ნული)
მოთხოვნა საჯარო მონაცემთა ბაზის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის სხვისთვის გადაცემის თაობაზე	0 (ნული)
ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ	0 (ნული)
ინფორმაცია დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ	0 (ნული)

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
სოფელ მაღლაკის საჯარო სკოლის
დირექტორის მ/შ: /ლექვინაძე ლიუდმილა/

ბიბლიოგრაფიული
მზაბეჭდსმეღია
ელექტრონული